

სასალონი გაზეტი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 371.

შაბათი, 6 აგვისტო 1911 წ.

დამატების № 65



სალარ-ლოშვილი, „სპარსეთის არწივი“, ძველი შაჰის უმცროსი ძმა. მან საზღვარ-გარეთიდან დაიბარა მაჰომედალი და მისი მომხრე ათი ათასი თურქმენი დაახვედრა.



შაშ-ხალტანე, მაჰომედალის უფროსი ძმა, რომელიც მასთან ერთად თეირანზე სალაშქროდ მიდის.

კ ე ლ

(შემდეგი *)

— რა უყოთ მერე, მამაშა. გიმნაზია სხვაა და ეპარხიალნი კიდევ სხვა. ჩვენდონს ესენი რას გადიან.

კესო წამოწითლდა.

— რატომ, ჩვენი სასწავლებელიც ხომ რვა კლასიანად გადააკეთოს.— მიუგო წყნარად, ნაწყენის კილოთი.

— ესიოჟე ჩვენ სხვა ვართ... ნაპრიმერ, თქვენ უცხო ენებს არ გადიხართ.

— გავდივართ,— მოუკრა სიტყვა კესომ.

— ტანცს არ სწავლობთ.

— რა საჭიროა?— გაიკვირვა კესომ.

— ესიოჟე...

— მართალს ამბობს, მართალს, ჩემი მოწაფე.— ჩამოეჩიათ ლაპარაკში მღვდელი. ჯერ კნენას მიესალმა, მერე დანარჩენთ.

— მართლაც, რა საჭიროა ეს ცეკვა და რაღაცეები. უცხო ენები კიდევ ჰო, მარა ვერც იმას სწავლობენ იმდენად, რომ რამეთ გამოადგეთ.

— დიახ, დიახ.— დაემოწმა რებეკა.

— რასაკვირველია... ვგზავნით შვილებს, სულს ვიხდენტ, ტყავს ვიძრობთ, ვფაქრობთ რამე შეისწავლონ, ჩვენვე დაგვიბრუნდნენ... ეს უბედური დუხჭირი ცხოვრება

გააუმჯობესონ, წინ წასწიონ, და ამის მაგიერ რას ვხედავთ. იწყებენ სხვა ენაზე საუბარს, იფწყებენ მოვალეობას; განათლებულ ექიმს კიდევ ესირცხვილება სოფლელი გლეხი მამა, ტალახიანი ქალამნით რომ მიადგეს მის მდიდრულ სახლს ქალაქის ადგილზე...

ვექილი ხომ სულ აღარ მიიღებს, მათ ჩვენი არა ესმით, ჩვენ მათი და ასე ვშორდებით ერთმანეთს, სულითაც და ხორცილთაც.

— მართალია, მართალი, მართალი— შესძახეს ერთხმად გლეხებმა.

— ცხონდა მაგის დედის სული... რა შვილი გაუზღია...

— აჰა, რაღა გონია თუ ყველა ერთნაირი გამოუა.

— არ მინდა, ბიძია, არა, ე ჩემი ბალანეი მე მყავდეს ჩემ სახში... პეტერეი წერა-კითხვა თუ ასტავლა უჩიტელმა?.. მოვკიდევ მერე ხარ-კავს და იყოს ოჯახში. სიკვტილის დღეს მაინც დამიხუქავს თვალებს.

— რა გინდა შენ... საწყალი პეტერიის შვილი რო იყო, პავლიი ხომ ასტავლა, დაგლახაკა და საწყალი მერე გადვიკარქა საცხა. ახლა თურმე ადესაში თელი დობტურების უმფროსია. დედა მისი ისე მოკვტა არ უნახავს და პეტერიიც ან დღეს მოკვტება, ან ხვალე.— შეტქნა ხალხმა ლაპარაკი...

— კესო ჩემი მოწაფე იყო, იმეღი მაქვს კარგ ნიქს გამოიჩენდა.— განაგრძო მღვდელმა...

გრიშა მოშორებით იდგა, შუბლზე ქუდ-ჩამოფარებული. მსხვილ ჯოხს მიწაში არკობდა, ნელა ილიმებოდა, თითქოს რაღაცის უნდა თქმა უნდაო და არას ამბობდა. ხალხი ნელა

*) იხ. სურათებიანი დამატება № 64.

დაიშალა და გამოვიდა ვალაფნიდან. მოდი ჩვენთან, კესო, ქალი გამხდარხარ, შენს მასწავლებელს გაეხარდება შენი ნახვა, უთხრა მღვდელმა, კნინას დაემშვიდობა, ბოდინში მოიხადა: სანათლაფი მყავსო და წავიდა.

ბორძალამდის ერთად მივიდნენ კესო და ნადო, გაცხარებული ლაპარაკობდნენ, ორივე თავის სასწავლებლის ღირსებას იცავდა. ბოლოს ყველანი დაემშვიდობნენ ერთმანეთს, ნადომ სთხოვა: „მოდი ჩვენთანო“.

8

მკათათვის შუა რიცხვები იყო მოტანებული, ერთს საღამოს, კონიდარში იწვა კესო, ფეხ-შიშველა, საკინძ გახსნილი პირ დაღმა იწვა მიწაზე და ნიდაყვებს დაყრდნობილი გადაშლილ წიგნს ჩასტკეროდა. იქვე მუხლ მოყრით იჯდა სანდრო და კესოს დანიშნულ ამოცანას აკეთებდა. კესო, როგორც დაპირდა მამას, კიდევ შეასრულა. სერგო მომავალი წლის „კურსისთვისაც“ მოამზადა, არამც თუ „საფეხმენოდ“. პატარა სერგო, დის გამგონე, ბეჯითად მეცადინეობდა. სწავლის შემდეგ საყმაწვილო ჟურნალებს კითხულობდა, რომლებიც გრიშამ მისცა არჩევით. ნადო და გრიშა ხშირი სტუმარი იყო კესოსთან, ნახევარი ზაფხული ერთად გაატარეს.

კესოს სულის განწყობილებას თავისდა უნებურად მისდევდა სერგო. შეჭყურებდა დას, რასაც ის აკეთებდა, ესეც იმას იმეორებდა. კესო კითხულობდა, სერგოც. კესო თამაშობდა, ესეც. კესოსთან ერთად ჰმეველოდა დიდდას, ყველაფერში კვალით-კვალში იყო ჩამდგარი დასთან. კესო

ხომ ერთს წუთსაც არ დადგებოდა ტყუილა, ან კითხულობდა ან სწერდა, ჰკერავდა, ბებიას ეხმარებოდა ან ტოლებში თამაშობდა. ამ ხანში ერთხელაც არ უგრძენია მოწყენილობა. გასუქდა, გავსებულ მთვარეს დაემსგავსა, როგორც როდაბი ამბობდა. როდაბი ხანდისხან მიამტერებდა ნადვლიან თვალებს და ეტყოდა:

— დედიშენის სურათი ხარ, შვილო. შენ გენაცვალოს ბებიაშენი, ეს ზაფხული გამახარე, მარა, აწი როდის მეღარსება შენი ნახვა. უშენოთ რაღა გამაძლებინებს აწი, მე უბედურს.

— საშობოთ კიდევ ჩამოვალ, ბებიკო. სააღდგომოთაც, გაის ზაფხულში ხომ კიდევ მოვალ.

— ეჰ, შვილო, ამდენს-კი ვიცოცხლებ, რომ ამდონჯერ გამახარო?!
— ცოტა კიდევ შეითმინე, ბებიკო, ცოტა, ოთხი წელიწადი რა ბევრი ხანია... რაფასაც სამსახურში დავდგები, მაშინვე ჩემთან წაგიყვან. ვიქნებით ჩვენთვის, ორ პატარა კობხათ შორეთულ ოთახში. მე რომ სკოლაში შევალ მოწაფეებთან გაკვეთილზე, შენ ყავას დაამზადებ. პატარა მოსამსახურე ქალიც გვეყოლება. შემოვალ, ყავას დავლევთ. ნასადილევს თუ ვინმე ავთ იქნება სოფელში, იმის სანახავად წავალთ. წამლებს წაუღებთ. მე ჰომეოპათიის წიგნებს გამოვიწერ, წამლებსაც და სოფელს უფასოდ უწამლებ, როგორც ნათლია სწამლობდა.

როდაბს ამ დროს ელიმებოდა.
— შენ დამცინი ბებიკო! არა გჯერა? მაცალე, მაცალე... გაასავსავებდა ხელებს. საღამომობით სტუმრები მოვლენ ჩვენთან. შენ თავდახურული, ხელში კრიალოსანით

გამოხვალ სტუმრებთან. ბებიკო, ხომ ჩამარცვლავ კრიალოსანს, აი ასე... კიდევ მე სამკითხველოს დაუარსებ სოფელს. იცი სად მინდა მასწავლებლობა? აქ, ამ ჩვენ სოფელში. ამ სახლს და ეზოს ბიძიას მივცემთ. უჰ, უჰ, რო იცოდე, ბებიკო, რამდენი რა მიტრიალებს თავში. როდესაც მე, ნადო და გრიშა შევიყრებით, სულ ასეთ რამეებსა ვლაპარაკობთ. მარა ნადოს ძალიან უყვარს ქალაქი და იქაური ცხოვრება მოსწონს. გრიშას ჩემსავით სოფელი უყვარს. იცი კიდევ რას ამბობს გრიშა? „როცა გავიზრდები, ჩვენ დიდ ოდას თიატრად გადავაკეთებ, სოფლის ახალგაზრდობას შეუყური თავს და წარმოდგენებს გავმართავთ“.

— ბებო, იცი რა არის თიატრი?

კესოს ისე გაიტაცებდა ხოლმე ასეთა ლაპარაკი, ავიწყდებოდა ყველაფერი. სახე გაბრწყინებული ლაპარაკობდა მომავალზე, ოცნებით ჰხატავდა მშვენიერ ბრწყინვალე ცხოვრებას მომავალში; რაღაც დიდ ძალასა ჰგრძნობდა თავის აოსებაში და სჯეროდა, რომ ბევრი რამის გაკეთებას შესძლებდა. შესტკეროდა დიდება და იღამებოდა, თითქოს ამბობდა: „უცნაური რამ იყავი თავიდან გატყობდი, მაგრამ ამ პატარა ლამაზ რგვალ თავში ამდენი ქკუა რიგორ ეტევაო“.

უკანასკნელი ამოცანაც გააკეთა სერგომ.

— კესო! მოვრჩი, გამოვიყვანე. გეტყვი, თუ გინდა.

უთხრა და გვერდით დაიღლო წიგნი.

— ახლა არა, ხვალისთვის იყოს.

— მაშ ეხლა თომას თავგადასავალს ვიკითხავ.

— არც ის დამდება, მგონი სქიანელსაც მოდენიან. წადი, ეს ჩემი წიგნიც წაიღე და დააწყვე სტოლზე.

სერგო წამობტა, დაავლო წიგნებს ხელს.

— სერგო, ფეხსაცმელები მოამზადე. ბეჭის კიტრები მოვარწყვევიოთ ბოსტანში.

— ახლავე.— მოსძახა სერგომ და პეპელივით გაფრინდა. კესო პირ აღმა გადაბრუნდა. ერთი გაგორდა, მაღალ კონიდარზე.

ხელი-ხელს შემოჰკრა, კაკლის ტოტებს შორის ჩამოძახარულ ჩამავალ მხეს გაჰხედა, ზარმაცად გააზმორა და ცოტა ხანს თვალები მოხუჭა.

— გამარჯობა კესო.— მოესმა ამ დროს. თითქოს ნემსი უჩხვლიტესო, ისე წამობტა ადგილიდან. ჰაშორებით იღვა გრიშა ლევარსამიძე, თეთრა ნაბდის ქული განივრად დაჰფენოდა ბექებზედ და მზისგან დამწვარ სახეს უჩრდილებდა. თეთრ პარუსინის ტანისამოსში ჯანსაღად მოსჩანდა მისი მკვიდრი აგებულება. დიდრონ თვალებში უკვე ვაჟკაცური ცეცხლი აპირებდა გაღვივებას. მაგრამ ტიტველი პირი, ბავშური თხელი ტუჩები და სათუთი ხელები, ნათლად მოწმობდა მის მცირე წლოვანებას. მხარზე მამის სანადირო თოფი გადგლო, ხელში რაღაც წიგნები ეჭირა. კესო აირია, შერცხვა, ფეხ-შიშველამ ნაბიჯიც ვერ წასდგა წან სტუმარის შესახვედრად. ისევ გრიშამ დაარღვია უხერხული სიჩუმე. ვითომ არც შეუმჩნევია კესოს შიშველი ფეხები.

— გამოვიარე, კესო, და ეს წიგნებიც მოგიტანე... რადგან...

კესოც წითამიდა.



მვრამში, თეირანის პოლიციმეისტერი, რომელიც თეირანს დაიკავს მაჰომედალის დაცემისაგან.

— წიგნები?! ოჰ კარგი, მადლობელი ვარ... ეს თოფი? სანადიროდ მიღებარ? ნალია რატომ არ წამოვიდა?.. დაფუძეთ... ამ სიტყვებით ისევ დაეშვა მიწაზე და ფეხებზე კაბის კალთა დაიფარა.

— ჰო, სანადიროდ მინდოდა წასვლა.—სიტყვა გრიშამ, თოფი ნელა ჩამოიღო მხრიდან და უხერხულად დაუწყო ხელში ტრიალი. ორჯერ უკანაც მიიხედა, თითქოს ვიღაცას ელოდებოდა.

- მომეცი აქ ეს წიგნები...—გაუწოდა კესომ ხელი.
- დაჯექი... დაბრძანდი.—გაისწორა სიტყვა.
- რა მიშავს.—ორი ღერი კონიდარი მოსწყვიტა და კბილით დაუწყო წიწვნა.

კესომ ერთი წიგნის ფურცლები გადაფურცლა.
— დაჯექი, გრიშა... რა კაი წიგნები გაქ, ღმერთმანი, სად შოულობ... ყიდულობ?

გრიშამ გვერდზედ მიაგდო თოფი და კესოს მახლობლად დაჯდა. ცოტა ხანს ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— კესო! მე მივდივარ,—სიტყვა გრიშამ და შეხედა. კესომაც ასწია თავი, წიგნი კალათში ჩასდო.

მწყემსებმა დიდხანა ნახირი ჩაატარეს. შორს სოფელში, კიდევ მოისმოდა ცხვრების ბლავილი. უკანასკნელ დედალიც აფრინდა ხეზე, დასაჯდომი ადგილი მოიმარჯვა.

როდამბა ცეცხლი აანთო და ვახშმის სამზადისს შეუდგა. დღის სინათლე ნელა მიიწურა და სალამოსის ნისლი თეთრ ჩაღრდა შემოებურა ქვეყანას. ცვარმაც თანდათან დანამა ბალახი, ცოტა კიდევ და სრულიად გაეყრებოდა ერთმანეთს დღე და ღამე.

— ასე უნდა, სტუმარი უნდა კარში დატოვო და თავთ წახვიდე?—ჰკითხა გრიშამ. ის ისევ იჯდა.

— წავიდეთ სახლში, ღამა ავანთო და ჩემს ნაწერს გაჩვენებ.

გრიშა წამოდგა, თოფი აიღო, გადიგდო მხარზე, ერთს წუთს შეჩერდა და გაჰყვა, სახლისკენ დიდ მსხალს მიუახლოვდნენ. მწიფე მსხლის სუნის სცემდა.

— უჰ დაღამდა, მსხალი მაინც ჩამომეგდო,—კესომ ქოლოკი მოიძებნა, სიბნელეში ტყუილა აფათურებდა ხელებს მიწაზე.

— კესო, გაჩერდი... შენ მკითხავდი წედან: რატომ ვერ ვსწავლობ?



სალარ-ლოულუს მომხრე თურქმენები, რომელნიც უძველეს შაჰის საშველად მიდიან.

— შოიცა, რა გეჩქარება? მე ერთი პატარა ტემა დავწერე და გიჩვენებ.—თითქოს კესოს მოეჩვენაო, გრიშას ცრემლმა შეუთამაშა თვალებში.

— არა კესო, მე ხვალ, მივდივარ... ხმას დაუწია და ბალახს დაუწყო გლეჯა,—თქვენ როდის წამოხვალთ?

- ასე ადრე? რა გეჩქარება?
- მამას მივყევარ. ხომ იცი, ეგზამენი მაქვს.
- მერე, რა უყოთ, სერგოსაც აქვს ეგზამენი, მარა ჯერ კი არ წავალთ.
- უნდა მოვემზადო.
- მერე, ვერ მოემზადები აქ? ხომ იცი რასაც გადიოდით. მოდი, თუ გინდა, ყველამ ვიმეცადინოთ. ნაღომაც, მეც, შენც. უფრო დაუდებ გულს სწავლას.

უთხრა ღიმილით, მეგობრულად დაადო ხელი მხარზე. გრიშა გვერდზე გადინარა და კესოს ხელი მოიცილა.

— აქ ვერა, ვერ ვისწავლი... ბევრიც ვეცადე, მარა ვერ ვისწავლე.

— რატომ?—გაიკვირვა კესომ. სერგომ ფეხსაცმელი მოუბრუნინა, „მე ბებიასთან წავალ“—წახურჩულა და გაჰკურცხლა ბოსტნისკენ: იქ მწვანე კიტრები ეგულებოდა. კესომ ნელა ჩაიკვა ფეხს და მიუბრუნდა.

- რატომ ვერ ისწავლი?
- რატომ?—გაიკვირვა კესომ. სერგომ ფეხსაცმელი მოუბრუნინა, „მე ბებიასთან წავალ“—წახურჩულა და გაჰკურცხლა ბოსტნისკენ: იქ მწვანე კიტრები ეგულებოდა. კესომ ნელა ჩაიკვა ფეხს და მიუბრუნდა.

— რატომ ვერ ისწავლი? გრიშა გაყრუვდა, პასუხი ვერ მისცა. კესომ იგრძნო, უსიამოვნო უნდა გავიგოვო. გულმა შეფოთვა დაუმოდგა, კაბა დაიბერტყა და წასვლა დააპირა.

კესოს ციგმა ერთხელ დაუბრინა ტანში ამ ხმაზე. ამ კითხვაში ბევრი რამ ისმოდა. ქალის გული მიხვდა, რაც უნდა გაეგონა.

— ჰო,—მიუგო, მაგრამ მისი ხმა რაღაც მიმქრალი იყო.

— შენ იცი მიზეზი და რაღას შეკითხები.

— მე?

— ჰო, შენ,—და ახალგაზრდა ბავშვის ხელი შეეხო მეორე ბავშვის ხელს. კესო რაღაცამ მიიზიდა, მისი თმები შეეხო გრიშას სახეს, ცხვირს, შუბლს ეამბორა.

— კესო, მე შენ მიყვარხარ.

— მეც მიყვარხარ—უპასუხა კესომ სიცილით, გულუბრყვილოდ. ეს სიცილი მაისის მზის დარი იყო.

— მართლა?—ჰკითხა გრიშამ და უფრო მოუქირა თითები...

— მაშ, წამომყვები?

კესომ ნელა გადიკისკისა... აქ-კი, სიცოცხლე ისმოდა, სიცოცხლე მთელის მისის სიმშვენეირით.

- რა გაცინებს?! იწყანა გრიშამ.
- ასე პატარა ცოლი?!
- როცა გავიხდები, როცა სწავლას დავასრულებ.
- კარგი...—გადასწყვიტა კესომ,—თუ მიღალატო?
- დედა მომიკვდეს, თუ გიღალატო. შენ თუ გათხოვდე სხვაზე?

რალა
ყო. წა

— ბებია მოპიკედეს... ეს ხომ ყველაფერზე უფრო
ბიყვარს.

— ყველაზე უფრო... ჩემზედაც უფრო?

— შენზე?.. არ ვიცი, — დაფიქრდა კესო.

— ჰო, ჰო, თქვი, — ტირილი ისმოდა გრიშას ხმაში.

— შენზე? არა, არა ღმერთმანი... არა... — კესომ ბავ-
შურად მოხვია კისერზე ხელი, და თავისკენ მიიზიდა, თით-
ქოს მტირალს ყმაწვილს უყვავებდა. გრიშას რაღაც მოუვი-
და, ბურანში გაეხვია, ერთი შეინძრა და მისი ბავშვად
კესოსას.

კესო ჩქარა გამოერკვა, დარცხვენილი გაუხტა ხელი-
დან.

— ეს რა ქენი, გრიშა?.. ძმა არ მომიკვტეს... ეს
რაა... ხმას არ გაქცემ... უსინიღისო!..

— შევრიგდეთ, ღმერთმანი არაფერი... ისე... აწი არა,
აწი... ღმერთმანი... მომეცი ხელი..

კესომ ხელი მისცა პატიების ნიშნად და დანიშნულე-
ბი ნელა წავიდნენ სახლისკენ...

ბნელ ღამეში, უნებურად შეესწროთ ერთი მოწამე.
ნამგალივით მოკაკულ მთვარეს, გაუბედავად გამოეყო

ცხვირი ცის კიდურზე. მაღალ კაკალს ამოჭყარებოდა
და ქურდულად უთვალთვალებდა მასავით მცირე წლო-
ვანთა ალერსს.

9

იმ ზაფხულს მეორე ზაფხულიც ჩქარა მოჰყვა. კესო
მხოლოდ ერთის დღით ჩამოვიდა სოფელში. მამამ მოიყვანა
და ისევ გაბრუნდნენ. ბებია აღარ იყო, უცკრად გადაიცვა-
ლა, ზიარებაც ვერ მოასწრეს. საუკუნოდ შესწყდა როდა-
ბის მაჯის ცემა. გაიყინა კეთილშობილი გული, დადუმდა
მკვერმეტყველი ენა, რომელიც იმდენ კეთილ აზრს უნერ-
გავდა გულში პატარა კესოს. ცხარის ცრემლით იტირა
კესომ. გარსევანმა საწირავიც გაუცა. კესო გამოეტხოვა
ბიძა-ბიცოლას, სახლს, ეზოს, რომელიც ისე უყვარდა დი-
დელსთან ერთად. გამოეტხოვა ყველაფერს, წავიდა და
დიდხანს აღარ უქნია პირი იმ მხარისკენ. ოთხი წელიწადი
გავიდა, კესო დაქალდა, სწავლა დაასრულა, „დიპლომი“
მიიღო. ბევრი რამ ნახა ამ ხანში, ბევრა რამ გამოსცადა:
სიღარიბე, გაჭირვება, მაგრამ ყველაფერი კარგი იყო, რად-
გან სიყმაწვილესთან იყო ეს ხანა დაკავშირებული. ოთხმა
წელმა, ნიავსავით ჩქარა გაიბინა, მაგრამ ნაკვალევიც
ღრმა დასტოვა. გარსევანიც გარდაიცვალა. მეორე გულით
საყვარელი ადამიანიც დაჭარბა კესომ. ხშირად იგონებდა
ტკბილ მამას და მწარედ სტიროდა.

სერგოზე ორი უმცროსი ფეფო და კოლაც დაემარბათ.
დედნაცვალი გამოიცვალა. ეხლა ხათრით ექცეოდა
კესოს, ხედავდა რომ კესო ეხლა მისთვის გამოსადეგი ადა-
მიანი იყო. კესოს უნდოდა სწავლის გაგრძელება, სურვლი
ჰქონდა უმაღლესის ცოდნის შეძენისა, მაგრამ გარემოებას
ემორჩილებოდა, მოვალედ ჰგრძნობდა თავის თავს; ძისა
და ოჯახის წინაშე. ჯერ კიდევ ყმაწვილი, ახალგაზრდა,
სიცოცხლით სავსე, ცხოვრების უღელში ჩაება. ჯერ-ჯერო-
ბით ამჯობინა ქალაქში დარჩენა, იშოვა მასწავლებლის
ადგილი, კერძო გაკვეთილებიც გაიჩინა. დღე და ღამ შრო-
მობდა დაუცხრომლად, იქ დარჩენით შეეძლო ძმა გაეზარდა
და სოფელში რომ წასულიყო, ოცდა ხუთი მანეთით რას
უნდა გახდომოდა.

გავიდა ხანი, სერგომ დაასრულა „გიმნაზია“, სტუდენ-
ტის მწვანე ქუდი თავზე წამოიხურა და კესოს სურვილი-
სამებრ უმაღლეს სასწავლებელში წავიდა.

— ჩემო ბიჭიკო, ეხლა ჩვენ ვიშრომებთ შენთვის,
გამოგზრდით, მაგრამ შენც ნუ დაგვიკარგავ ამავს. როდე-

საც ექიმი გამოხვალ და განათლებულად იცხოვრებ, —
დაირცხვენ ღარიბი დაი და დედა რომ გეწვიოს სოფლიდან.
მე ხომ სოფელში წავალ და დედასაც წავიყვან. — ეტყოდა
ხოლმე კესო ძმას და თმებზე სიყვარულით ჩამოუსვამდა
ხელს.

— არა გრცხვენია კესო? რათ მეუბნები ასეთ სიტ-
ყვებს?.. ნახავ შენ, ჯერ გავათავო და როგორც გაცხოვ-
როთ. ისეთი მზითვევი მოგიმზადო, რომ დიდ ვინმეს გაჰ-
ყვე. — უპასუხებდა სერგო ალერსითვე.

და-ძმას ძლიერ უყვარდა ერთმანეთი, ამხანაგი, მე-
გობარი, ყველაფერი იყვნენ ერთმანეთისთვის, კესო რომ
სერგოს დაიფიცებდა, მორჩა, გათავდა, იმ აზრს ვეღარაფე-
რი გადაათქმევინებდა.

ოცდა შვიდის წლის კესოს უკვე მოღლილობა დაეტ-
ყო, გახდა, თვალები მოერღვა, მისი წითელი დაქლაქა ლო-
ყები, მარმარილოსავით მკრთალმა ფერმა შესცვალა. გადა-
ქარბებულმა შრომამ და მეკადინეობამ, უღროოდ აღბეჭდა
თავის რვალი და ახალგაზრდის სახეს უსიამოვნო ხაზები
დააჩნია. ეს ნახა სერგომ, გული გაუსკდა, თავი დამნაშავედ
სცნო.

— „ნუ თუ კესო, ჩემი მშვენიერი, ჩემი სიამაყე, უნ-
და გატყდეს, დაბერდეს ისე, ერთხელ არ ნახოს სიხა-
რული? ვერ შეესწროს სიცოცხლის მშვენიერებას, სიცოც-
ხლის თაიგულს; ქმარს, შვილს, ოჯახს, სიყვარულს. აქ
რაღაცა ავონდებოდა სერგოს. საღდაც, შორს წარსულში,
ბავშვობის დროს, რაღაც ხსოვნა სიზნარით ჰქონდა ჩაყო-
ლილი. იგონებდა და ვერ მოგონა. ისევ იმ კითხვას უბრუნ-
დებოდა: „ნუ თუ კესოს ამდენს ხანს არავინ შეჰყვარებია?
ნუ თუ კესოს საუცხოვო გარეგნობა, სპეტაკი გული, ნა-
თელი სული, არავის შეუძნევია, არავის მოსწონებია?“ —
ბევრჯერ მოინდომა ამ საგანზე ლაპარაკი ჩამოეგდო, მაგრამ
კესოს ყოველთვის შორს ექირა თავი.

— მე ველოდები იმ დროს, როდესაც აღარ დაგჭირ-
დება ჩემი დახმარება, მერე წავალ სოფელში, საცა გავიზარ-
დე, რისიც, ბევრი ტკბილი რამ მახსოვს და იქ ვიმასწავლე-
ლებ. ვასწავლი მაშინდელ ჩემსავით ღარიბ, დაფლეთილ-
დაკონკილ ბავშვებს. კადეც დავისვენებ. დავიღალე, მომ-
ბეზრდა ეს ქალაქი. ყველაფერს მირჩევნია თავისუფლება,
თავისუფლად ამოსუნთქვა იქ, იმ ჩემ საყვარელ, მწვანით
დაფენილ მინდვრებში, საცა დავდიოდით მაშინ, ნადო და
გრიშა ლევარსამიძეები რომ იყვნენ ჩვენთან. გახსოვს? შენ
პატარა იყავი, ჩემო ბიჭიკო, — უთხრა ერთს საღამოს კესომ.
ფანჯარაზე მიყრდნობილ სერგოს და შენებდა თავის გონიე-
რის თვალებით. სერგო მობრუნდა და დააქცერდა კესოს
ნადვლიან სახეს. ერთ ხანს იყო დაფიქრებული. ეხლა ყვე-
ლაფერი გაახსენდა, ყველაფერი ნათლად აღებეჭდა მეხსიე-
რებაში. მოაგონდა სოფელი, — ნადო, გრიშა თავის გა-
ბადრულის სახით და ცეცხლის მფრქვეველის თვალებით,
წიგნებს რომ ურჩევდა სერგოს. მოაგონდა ის საღამოც,
როცა გრიშა თოფით მივარა მათსა, მერე რაღაცას რომ
კითხულობდნენ ის და კესო. მერე აღარ უნახავს, აღარ
იცის რა იქნენ, სად წავიდნენ... ეხლა ყველაფერს მიჰხვდა,
გული როგორღაც აუჩვილდა, დიხარა, ნახად აკოცა კე-
სოს შუბლში. კესომაც მოჰხვია ხელი და გულზე მიიკრა
შვილივით გაზრდილი ძმა.

(შემდეგი იქნება)

მ. გარიყული.

